

განმარტებითი ბარათი

“საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განაპირობა საბაჟო კანონმდებლობაში უწყვეტად მიმდინარე სრულყოფის პროცესმა, კონკრეტულად კი საბაჟო პროცედურების გამარტივების აუცილებლობამ და საბაჟო პროცედურების განმახორციელებელ პირთა წარმომადგენლებისათვის, ე.წ. “დეკლარანტებისათვის” კონკურენტული გარემოს დახვეწამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საბაჟო პროცედურების განმახორციელებელ პირთა წარმომადგენლებისათვის საბაჟო ორგანოს წინაშე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის დამატებითი ალტერნატივის შექმნა საკანონმდებლო დონეზე და რეგულირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს საბაჟო კოდექსში ხელახლა ყალიბდება მე-8 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც მხოლოდ ერთი საბაჟო პროცედურის (მაგ. დეკლარაციის წარდგენის) ან საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის უფლებამოსილი წარმომადგენელი ე.წ. “დეკლარანტი” შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომლის პასუხისმგებლობაც საბაჟო ორგანოს წინაშე მუდმივად უზრუნველყოფილია 50 000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიით ან ამავე ოდენობის სადაზღვევო პოლისით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო :

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის ამოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან :

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან :

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი :

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“